

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასლდვის ცხავართათვის. (იოან. 10—11).
 მავე ცხავარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიბარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძივნენი და მე განვიგვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 19

1883—1896

1—15 ოქტომბერი.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თთვი . . . 3 მან. 12 თთვი . . . 5 მან.	
6 — . . . 2 — 6 — . . . 3 — .	

შულისა და წერილების გაცხადება შეიძლება ამ აღრესით
Въ Копиумъ, за редакцію „Мисემსи“ и „Пастыръ“.

შველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბუქდავთ გამომგზავნილნი, გრცლად და გასაგებალ უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.
 სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სამკვარი სიკვდილი.

სიკვდილი ბუნებითი, ურჯავოებითი და ქრისტიანული.
 (დასასრული *).

წამების წინა დღეს კაცობიერე მართებლობამ დაადგინა სასიკვდილეთ განწესებულთათვის აღესრულებათ ყოველი სურვილი, გარდა განთავისუფლ-

ბისა და სიციხლისა. მათთვის მოამზადეს «ძირ-ფასი ვახში», რომელზედაც ყოველ ნაირი უწესოების ნება ეძლეოდათ. გროვა ცნობის მოყვართა შეკრება, რათა იხილონ მწუხარება სასიკვდილეთ დასჯილთა. მავრამ მათ პირის სახეზე ნაცვლად მწუხარებისა ეხატებოდათ მხიარულება. მაყურებელთ წინ წარმოუდგათ წყნარი, აღსაყვ სარწმუნოებით და კეთილ-მსახურებით „სალამო სიყვარულისა“, რომელსაც იმ დროს ქრისტიანები ჩვეულებრივ ლიტურგიის შემდეგ ასრულებდნენ და რომელზედაც განწირულთა ამ ჟამდ შესცვალეს წარმართთა მთავრობის მთადამი უკა-

საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. რესპუბ.
 ბიბლიოთეკა

ნასკნელი მოწყალება. პერპეტუას საშინელი ტანჯვა უნდა გამოეყარა: სხვა ქალებთან ერთად პერპეტუაზე უნდა მიეწვიათ სარქენლად გავლენებული ძროხა. ქვეყნიური ტანჯვების მალე გათავების მოლოდინმა და საუკუნო ნეტარებაში გადასვლის იმედმა იგი სულიერად გაამხნევა, და იგი, თითქმის, ვერ გრძობდა ქრილობებს, რომელსაც განმდინებული პირუტყვი აძლევდა. «მხეცები სად არიან», იკითხა მან, მაშინ, როდესაც მეორე ტანჯვისთვის მზად უნდა ყოფილიყო. მოწამენი ჩვეულებრივის ამბორებით გამოეთხოვენ ერთ-მანერთს და თვითფულმა მათგანმა უშეშრად და შეუღრტკლად გასწია სიკვდილთან შესაგებებლად. პერპეტუა უნდა მოეკვდინებინა ყმაწვილ და ჯერეთ კიდევ გამოუცდელს გლადიატორს, რომელსაც ხელი აუთრთოლდა და ხმალი დააქნინა; მაშინ პერპეტუა თვითონ მოეხმარა ქაბუქს, რათა მისთვის სასიკვდილედ შეჰოკერა.

სიკვდილი პერპეტუასი წარმოადგენს ნიმუშს ქრისტიანულის აღსასრულისას. ამ მოწამის სახით სიკოცხლეს ეთხოვებოდა სიყმაწვილე, დედა, ასული, ბედნიერი მოქალაქე, დასასრულ ქალი, რომელსაც ყოველნაირი ქვეყნიური ბედნიერება გავს ერტყა. ყველა ამაგებს უნდა შეგერებიათ პერპეტუა თავისი გარდაწყვეტილებისაგან, მაგრამ მას სრულებით არ დანანებია სიკოცხლე, და ეს მოსდიოდა უბედურების შესახებ არა სტოიკური გულ-გრილობით, ანუ რომელიმე ფილოსოფიური ზეშთავაგებით — არა, მამასთან და შვილთან დამოკიდებულობით მან დაამტკიცა, რომ მას შეთვისებული ჰქონდა ნარნარი გრძობა დედისა, ქალისა და, დასასრულ, საზოგადოთ ადამიანური გულ-ჩვილობა. გამოცნობა მისის მშვიდის, თითქოსა და სასიხარულო აღსასრულისა მღვრმარეობს მასში, რომ იგი იყო ქრისტიანი, ე. ი. ატარებდა თვის შორის სდღეთო მადლს და კვდებოდა ღმერთ მორწმუნედ და დაუსრულებელი ნეტარების მსასოებელი.

ამ წერილის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ სიკვდილის მძიმე და ძნელი მხარეები. ესლა, როდესაც

ვათავებთ მას, ჩვენ უნდა შევათანხმოთ ჩვენი ჰაზრი სიკვდილზე. ჩვენ ვხედავთ, რომ იგი არის სასაშეშრო იმ პირთათვის, რომელთაც არა სწამთ მომავალი ცხოვრება, ხოლო იმათთვის, რომელთაც სწამთ მომავალი საუკუნო ცხოვრება, იგი სასაშეშრო არ არის. უკანასკნელ ჯურის კაცთა შორის უპირატესობა ქრისტიანებს ეკუთვნისთ. მაშინ როდესაც ფილოსოფია ცდილობს განაძეგოს ადამიანისაგან ბუნებრივი შიში სიკვდილისა, ქრისტიანობა კი თავის თავად ადვილად ნერგავს კაცის გულში იმ შეხედულებას, რომლისამებრ სიკვდილი არის შემარიდგებელი დასასრული სიკოცხლისა. შემარიდგებელი დასასრული, ვამბობთ ჩვენ; მაგრამ სიკოცხლე მტრობა არის? ამაზე ქრისტიანობრივი სწავლა-მოდერება დაბეჯითებითი პასუხს იძლევა სიკოცხლე ნამდვილ მტრობა არის ანუ უკეთ რომა ვსთქვათ — ბრძოლა, ბრძოლა ნათელ ლებულის კაცისა მასში თანშობილ კოცდის ნაშითან. ქრისტიანობა თავიდან გვეცილებს წყევას, რომელიც ჩვენზე გადმოვიდა წინაპართა შეცოდების შემდეგ, ამაგრებს ჩვენ ზნეობითი ბუნებას, მაგრამ არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან მოვიკრიბოთ ნაყოფი პირველ კოცდვასთან ბრძოლით. ეს ბრძოლა შეადგენს ქვეყანაზე ჩვენის არსებობის საგანს. ვინც ამ ბრძოლას ეწვევა, ის ასრულებს უმთავრეს ქრისტიანულ მოვალეებას, მიილტვის ქვეყანაზე გონივრულ არსებობის ერთად ერთ მიზნისადმი; და მხოლოდ ასეთი კაცი ეგებება სიკვდილს მამაკურად, წყნარად, რადგან ხედავს, რომ სიკვდილი აუცილებელია, იგი თითქო გულ დამშვიდებული მზად არის ღაღად ჰყოს: „აწ განუტყვე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებ შენისა, მშვიდობით“ (ლუკ. II, 29).

მღვ. ვ. ფოფხაძე.



ქართული
ენათმეცნიერება
სსსრ-ის
აქადემიის
საგანგებო
და
საგანგებო
სამსახურის
გამომცემი



განაშობა და სხვა საყურადღებო თამაშობა.

მღვდელთა და ერთა საყურადღებო.

ეკუთვნის თუ არა მღვდელთა ანუ ერისკაცთა თამაშობა ქალღმერთს და სხვა რიგად ყომაზობა? ამ კითხვის პასუხს იძლევა ისტორიული გამოკვლევა შესახებ თამაშობათა მომდინარეობაზე, თუ როგორ უყურებდნენ მათ კრებანი, კერძო მამანი და მასწავლებელნი ეკლესიისანი. საყომაზობა თამაშობანი არიან დიდის ხნის დროისანი. სურვილი თამაშობისა არა ყოფილა უცნობი არცა ძველთა ქრისტიანეთათვის. ამას გვიტყვიან ძველთა ნაშთთა მეძიებელნი, არხეოლოგნი, რომელთაც არა ერთგზის უპოვნიათ ქრისტიანეთა აკლდამებში სათამაშო ფიგურები და ძელები. არიან კიდევ სხვა და სხვა საბუთნიც, მაგ., (ქრისტეს აქეთ მე-5 საუკუნეში), სინეოზ პტოლემიადელი თავის წერილში ევბოიტესადმი სხვათა დამაბრკოლებელთა მიზეზთა შორის ეპისკოპოსობის ხარისხის მიღებისა ასახელებს თავის უძველეს სურვილს და გულის თქმას თამაშობისადმი. კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარი რედგენდლაჟი (პიუტეში) გრიგოლ ტურეთი მოგვითხრობს თუ როგორ დასკინდნენ და ამხილდნენ მას დანი მისნი თამაშობისათვის და რომ ვერც დაცინებამ, ვერც მხილვებამ, ვერც წერილთა და ვერცა კანონთა ვერ მოაშლივნენ მას ესეთი ჩვეულობა. მე-42 კანონი წმინდა მოციქულთა ამბობს: „ეპისკოპოსი ანუ მღვდელი, ანუ დიაკონი თამაშობისა და მთვარაობისადმი მიმდევარი, უკეთუ არა მოიშლიდეს ამა ჩვეულობასა, განიყნებოდეს. ხოლო მე-43-მე, კანონი ამავე მოციქულთა ავრცელებს სასჯელს თამაშობისათვის სასულიერო დაბალ წვერთა და ერის კაცთა ზედა: „აიო დიაკონი, ანუ მკითხველი, ანუ მგალობელი, თამაშობისა ანუ სიმთვარლისა ჩამდენი ანუ მოიშლიდენ ამა ჩვეულებათა, ან არა და განიყნებოდნენ, აგრეთვე ერის კაცნიცა. თავით უძველესი შენიშვნა შესახებ თამაშობისა ქრისტიანეთა შორის, წინააღმდეგ მანტონელთა, არის მოხსენებული აპოლონ მკირე აზიელის პოლემიკურ თხზულებაში. ამხილვებს რა მანტონელთა და მათ წინასწარმეტყველთა ფარისევლურ სიმკაცრეს, აპოლონი ამბობს: „უნდა გამოესკადო ყოველი ნამყოფი წი-

ნასწარმეტყველთა. მითხართ მე: შეჰფერის თუ არა წინასწარმეტყველს: კოპწიაობა, მორთვა-მოკაზმა, ნარდის თამაში და ან სამონაგებოდ ფულის გავსახება?“ შემოთ მოყვანილ კითხვის განსამარტებელ სრულ ცნობებს ჩვენ ხელნათ კიდევ ერთ უძველეს და უცნობი ავტორის თხზულებაში სათაურით: „De aleatoricus“ „მოთამაშებზე“.

ავტორის სიტყვით საყომაზობა თამაშობანი არიან მვენებელნი არა მარტო მოთამაშეთათვის, არამედ სხვებისათვისაც. ნარდის თამაშობა არის უპირველესი იარაღი ეშმაკისა, რომელითაც ხშირად აბამს თავის მახეში ქრისტიანესა და ათახსირებს მას მატერიალურად. თამაშობა არის მოგონილი წარმართთაგან. უწინდელ დროში, რომელიმე სათამაშოის „გამომგონე“ ლეოს მოვლინებდა ითვლებოდა, როგორც მოთამაშენი წინეთ თამაშობის დაწყებისა სწირავდნენ მსხვერპლს. ამისთვის საყომაზობა თამაშობათადმი მიმდევარი ქრისტიანი მსგავსია წარმართისა, რომელსაც აღთქმად დაუდევს წარწყმედა თავის სულისა სამუდამოდ. სული მისი სასევა ყოველ გვარის გულის თქმითა, მარად სცოდავს წინაშე ღმრისა და არ იმსახურებს შენობასა. ამ ზომ თამაშობას სასტიკი უფლებათა გამო ავტორი ურჩევს მწყემსთა ეკლესიისათ, რათა მათ განაშორონ ეკლესიისაგან ამ გვარ სენთაგან დაუძღურებულნი მოწაფენი. ელვისის პირველი მსოფლიო კრების დადგენილების მე 79 კანონი ამით აცხადებს: „უკეთუ ქრისტიანი ფულის ინტერესით თამაშობდეს ნარდსა, ქმნას იგი განყნებულ ეკლესიისაგან, ხოლო უკეთუ გასწორდეს და მოიშლოს ესეთი ჩვეულება, წლის შემდეგ კვლად იქმნას იგი მიშველელ. თამაშობით მოგებულ ფულისა და ნივთისა წმ. ამგროსი მედიონელი უწოდებს ნაქურდალსა. სამღვდლოებდას სასტიკად აღეკრძალვის თამაშობა და ელის დიდი სასჯელი. მათ არა აქვს უფლება არამც თუ თამაშონ, არამედ დაესწონ სხვათა თამაშობის დროს. მე-VI მსოფლიო კრების მე 50 კანონის ძალით დადგენილია: „არცა სამღვდლო და არცა ერის კაცი არ ევლტოდეს საყომაზობა თამაშობასა რათა პირველს არ აებაღის ხარისხი მღვდლოებისა და მეორე არ იქმნეს განყნებულ ეკლესიისაგან.

ცხადია რომ ყოველივე აქ მოყვანილნი დადგენილობანი შეეხებიან არა მარტო ძველის დროის საყომაზობა თამაშობათა, არამედ ეხლანდელ დრო-

სასაცა მავ, ქალაღდის თამაშობას; ვინაღდგან ქრისტიანული მხილგბა იყო და არის მიმართული არა მარტო წინააღმდეგ ფორმისა, არამედ წინააღმდეგ თვით არსებობისა. თანა მედროვე მწერალთა შორის მღვედელ-მთავარი ტიხონ ზადონელიც ამხილგბს ქალაღდის მოთამაშეთა, ქალაღდის თამაშობას მღვედელთ მთავარი აწერს ზაკეურ მტაცებლობას, რომლისც მტაცებელნი სოცტუებით ითვისებენ სხვისთა კუთვნილებათა და სკრადვენ წინააღმდეგ მე-10 მკენებისა, რომელიც უკრძალავს მათ სურგებას რაისამე კუთვნილებისა მოყვრისა მათისასა.

მღვედელი მიხიელ გავაშელოვი.

†. მღვიმის ღმადთ მონასტრის წინამძვარი იღუბენია ელენე (იგივე ელისაბადი).

(ნეკროლოგა).

სექტემბრის 6-ს, პარასკევს დიდის 4—5 საათზე, ორი კვირის ავთმყოფობას შემდეგ, გუჭისა და ფილტვების ანთებით, გადაიცვალა მღვიმის დედათ მონასტრის წინამძვარი მადალდირსი იღუმენია ელენე, შობიდან 67 წელისა. განსვენებული იღუმენია ელენე იყო ქეთარისის მარის სოფ. სიმონეთის მკვთავრებლის აზნაურის მიქელ (იგივე მიხიელ) ჭუმბურიძის ასული. განსვენებული სოქმწვიდემივე მიკბარებით სოხასტრის დედათა მონასტრში, სადაც მას მიეღო განთავსება სამშობლო ენაზე, ე. ი., უსწავლა წერა კითხვა, სამდრთო წერიდი და სეფელისთა გაღობა ძალიან კარგათ და მამინ კიდეც გადაწვიტა მონაზონობა. ამსვე სოხასტრის დედათა მონასტრში, როგორც ჩანს ნამსახურეთით სიიდან, იტრეთის მიტროპოლიტის დავითის მიერ განწესებულ არს მორჩილად 8-ს აპრილს 1847 წელში.

იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს განკარგულებით ადკეცილი არს მონაზონათ არქიმანდრიტის გაბრიელის მიერ გაენათის მონასტრისა შინა 28 აგვისტოს 1854 წელსა.

უოვლად სამდვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით განწესებულ არს თანამემწეთ მღვიმის დედათა მონასტრის წინამძვრის ათინასთან 27 დეკემბერს 1871 წელს.

დაინიშნა წინამძვრის თანამდებობის ადმასრულებლათ უოვლად სამდვდელო გაბრიელის განკარგულებით 11 თებერვალს 1884 წ. ადუვანილ არს იღუმენის ხარისხზე იმავე ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით 11 დეკემბერს 1886 წელს.

ერთგული სამსახურისთვის იმავე ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ებოძა გუელის ჯვარი 1892 წელში.

აწ განსვენებული იღუმენია ელენე მხნეთ და პატოსნათ მართავდა მონასტრის თორმეტწელის განმავლობაში. იყო შემბრადე ვლასკთა და დავრდომილთა; იყო ფრიად დვთის მოშიში და მლოცველი. როდესაც მიიღო დანიშნულება დედათ წინამძვრის თანამდებობაზე 1884 წელში, აწ განსვენებული იღუმენია შეუდგა მონასტრის გაუმჯობესობას:

იმუდამდგამლა სასულიერო მთავრობასთან და თითო სართულიანთა მონაზონათა სადგომები (სენაკები) გადააყთა ოროდ სართულიან შენობათ, შეაკეთა ადგილობრით ეკლესია და მოუპოვა სხვა-და სხვა სამჭინო ნივთები, ააგო სამრეკლო და შემოუმატა მვენიერი ზარი და სხვა...

ამასთანავე განახორციელა ძველებური მონასტრების დანიშნულება—სწავლა-განათლება; მთავრობის ნება-რთვით და თავის მზრუნველობით დაარსა 1 იანვრიდან 1894 წელს ერთეულიანი საეკლესიო—სამრევლო სკოლა ორთავე სქესისათვის მისდამი რწმუნებულს მონასტრში, რომელშიაც მედამ სწავლობს არა ნაკლებ 50 ქალი და ვაჟი, განსვენებულს ძალიან უყვარდა პატარა მოსწავლე ბავშვები და უოველთვის დარიგებდა აძლევდა და ატულიანებდა მათ სწავლაზე და დარბის მათგანს აძლევდა შემწეობას.

შემბრადებელმა სიკვდილმა მოულოდნელათ გამოკვაცალა ხელიდან; მწარე კრემლებით და შენდობით გამოეთხოვენ განსვენებულს მონასტრის კრებული დები—მონაზონები და უწე-



და მისი ნაქნობი და მონათესავე 8 სეკტებურს, რომელ დღესაც დაგრძალეს მონასტრის სასაფლაოში.

საეკურთ იუოს სხენება შენი, მაღალ ღირსო დედაო იღუმენია ელენე! გ-ნსვენების დღეს წირვა, წესის აგება და პანაშვიდი შესარულია ჯრუჭის არქიმანდრიტმა მამა ბენიამენმა მკვდ. ბლ-ღორჩინების იოსებ წერეთლის, აბესალომ ჩაჩანიძის და სხვა სამღვდელთა შირების თანდასწრებით ადგილობითი მონასტრის ეკკლესიაში. („გვალი“).

ამას ჩვენ უნდა დავუბატოთ შემდეგი: მღვიმეის ღელათ მონასტრის გვარიანი შემოღება აქვს. დღეს დღეობით ამ მონასტრის შემოღის გაცემული ადგილებიდან 4000 მანეთამდე და მასთან საეკკლესიო ხაზინიდან ძღვევა ყოველ წლობით 1186 მ. წინეთი იჯარით გაცემული ადგილებიდან ძლიერ ცოტა შემოსავალი ჰქონდა მონასტრის, მაგრამ დღეს, როცა მონასტრის ზოგ ადგილებში ქვა-გუნდა აღმოჩნდა და ზოგი ადგილები, რომელიც კიათურაში მდებარეობენ, სადღუნებათ შეიქმნენ საჰირონი, მონასტრის შემოსავალმა ერთი ათად უნდა მოიმატოს. ამიტომ ამ მონასტრის ექირვება ძლიერ გამჭირაზე მმართველი; მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ პირს არავის ვხედავთ. განსვენებულმა იღუმენიამ შემოგვიჩილა ამას წინეთ, რომ მონასტრის ერთი საქმის მოგებისათვის ასი მანეთი მეტი სავექილო ხარჯი დაგვეხარჯაო და მოგებული საქმისაგან ერთი გროზი სარგებლობა არ არის და არც იქნებაო. იმედია, რომ სასულიერო მმართველობა ყურადღებას მიაქცევს და მონასტრის საქმეს რიგიანს გზაზე დააყენებს.

რულაქტორი.

ბიბლიოგრაფიული ცნობები.

ჩვენ მივიღეთ კ. დ. უიფიანისაგან გადმოქართულებული წიგნი „კულტურა ანუ კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება“. წიგნი ილია ჭავჭავაძის სტამბამია დაბეჭდილი. წიგნი შეიცავს 256 გვერდს და ღირს ათ შაურათ. ეს არის პირველი ნაწილი გამოვა კიდევ ორი წიგნი და სამივე ედიტება მანეთ ნახევრად.

მივიღეთ აგრეთვე მე-13 წიგნი, სახელად „დარვინიზმი“, გამოცემული ივანე რასტომავილის საფასით და რედაქციით. წიგნი თარგმნილია ე. ფერდინის თხზულებიდან. ეს წიგნი პირველია და ენება „ევოლიუციონურ თეორიას“ ცხოველთა და მცენარეთა წარმოშობას.

* *

ამას წინეთ ამერეთის ეპარქიაში ბლაღორჩინებს ცნობები მოსთხოვეს, თუ რამდენი წმინდა სანთელი დასჭირდებოდათ ამ წლის დასასრულამდის მათ საბლაღორჩინო ეკკლესიებს. ეს ცნობები ითხოვებოდა ეპარქიის განცხვლარით და სჭირთა ცნობის შესატუობად. ენდა სამღვდელთა ელის თურმე სანთელს და ის არავის გაუგია, რომ ამ ცნობებით სანთელს სამღვდელთა ვერ მიიღებს, ეს საჭირთა შეიტყუან სტაროსტებმა, რომ მათ თვითონვე ძველებურად მოითხოვონ სანთელი და წაიღონ სანთლის საწყობიდან.

გონების საღარო.

ურცხვობა არის უგანასკნელი საფეხური ბიწიერებისა. ურცხვობა, ადრე იქნება თუ გვიან, შეუერთდება გარუენილებას. უხასიათო კაცს რაც გინდა, იმას აქწევიენ, თუ ცოტა შეაქმისი გონება, ანუ მისი კეთილგულობა. უხასიათო კაცები ბოროტ კაცებზე უმეტესად საშიშონი არიან.

არავითარი მდგომარეობა არ დაამკირებს კაცს ისე, როგორც თავისი საქცეადი.

მომჭირნობა წყართა დამოუკიდებლობასა და მოწყალებისა, შრომა განაგდებს სიდატაკესა და მომჭირნობა აღარ დააბრუნებს. ქონების გამბნვე შეიქნება მონად, ხოლო მომჭირნე — მეფედ. იყავთ მომჭირნე. ფულების უმექონებლობა ხშირად გონების სიდატაკის ნიშნია, ხანდა-ხან პატიოსნების დამკირება.

რამოც უველაზე მეტი მომჭირნობა და დამოკავა უნდა გამოვიჩინოთ, იმამი სრულებით არ ვიჩინთ დაზოგვას. მაგალითებრ ჩვენ უველაზე ნაკლებ ვზოგავთ დროს და გონებას.



საქართველო-მს

შვედი დრომს თავგადასავალი.

(სანისტორიო მასალა).

(გარბელება *)

მოასხეს ტყვენი ქართველთა მათგანვე ილაფე-
ბულნი, ოცდაათით ათასნი ჰყვეს რიგზე დამწკრივებულნი,
მეფემან თამარ წყალობა მითლა ჰყო დარიგებული,
მყის ვაჭურტევა სრულობით არიენ ჰყო შეიწირებულნი.
ყველად წარვიდნენ გლოჰქონს ჰყოფდენ მუნ
დიდსა ბრძოლასა,
იკლებდნენ, ხარჯსა ართმევდნენ, სპარსთა უქმოდნენ
ძრწოლასა,
ვინცა ებრძოდნენ თამარსა ვერინს აუხმიდა ბრძო-
ლასა,

სადაც ნახვიდნენ სპარსელთა, ჰხოდნენ ვით ღორთა
მიოლასა.

ოთხსავ მხარეს ხმალსა სცემდა ქმარი მეფის
მეფე დავით,
მტერნი შექმნა ვითა თხანი, ვინცა იყენენ მუქარ ზეავით,
შეიერთა ყოვლი მხარე ქედმოდრეკით, ხარკით,
ზავით,
კვალად თამარს მეფეს ჰკადრეს, რუსი მოდის ზღვასა
ნავით.

გამოხტა რუსი ზღვით გამო იქმნა სპარსეთად
მევალი,
სპარსთა ათაბაგს შეფურდა და სთხოვა ჯარი მრავალი,
მან აღუსრულა თხოვილი რუსი ჰყო წარმოშავალი,
მისცა ხაზინა და ჯარი, ვლეს დღენი კვირა მრავალი.
მოვიდა კამბეჩოვანსა რუსი სპარსისა ჯარითა,
მან მოაოხრა მუნ ყველა ჰყო ტყვენი შესაზარითა,
რასცნო მყის ხორანაბუჯელმან საღირ არს მიმორებითა,
მახატელისა ძემან და გულოვანს ვაჭებ ქებითა.
მოკრიბა თვისნი სამ ძენი და თვისნი ყმანი

კოტანი,
მყისვე მიმარფა რუსსა მას, შეუქმნა დიდი კოტანი,
ბევრსა კოტათი შემართა ექმნენცა ვით მყოტანი,
შეჰკვიდეს მყისვე დაფრიწეს, თავსა ჰკრეს ხმლისა
კოტანი.

ვაჭკიცეს, ამოსწყვიტნეს ვითა ქორმა ტრების
გუნდსა,
რუსი იგი ვერსად ნახეს, ემბდიან ბილწსა, ტულსა,
ოარის მონით გარღიხვეწა, ვერლა იქნევეს ეშმაკს
კულსა,
აწ სპარსელთა მოკით სდევენ, იპყრობდინ ბევრსა
ახუნდსა.

მობრუნდენ გამარჯვებულნი ანკობეს თამარ
მეფესა,
აჰა, მეფეო, შეგაკადრებ მზესა შეუქმოიეფესა,
მოვიდა რუსი უფვანი ტყვედ გეყოფდა თქვენსა მე-
ფესა,
მაგრამ ბედითა თქვენიითა ვავგანთ ქებათა მკრეფესა.

მეფე მადლობდა ზენასა ცა-ქვეყანისა მფლო-
ბელსა,
შენით ვსვიანობ ცოდვილი, ესეცმ თაყვანს შენსა
მშობელსა,
განდიდენ ჩემი სახელი კიდის კიდესა ყოველსა,
კვლავ ნუ დამაგდებ, მეუფეო, მე შენსა შემამკო-
ბელსა.

მეფეს მოურთვა ფეშქაში, უძარუნ შას მოგზავ-
ნილია,
ერთი ღომისა ბოკვერი პატარა ტან უსრულია,
როს განიზარდა, დიდ იქმნა, მნახავთთვის საკვირვე-
ლია,
კამბეჩის ტოლი შეიქმნა საშინელ საცვიფრელია.

ნახეთ ამხეცი საშინელი არვისგან შეშინდებოდა,
როს ნახის თამარ მეფით თავით ცრემლი მოსდინ,
დებოდა,
ათავს ჩაუღებდა კალთაში, მყის ძილი მოუნდებოდა,
როს განაშორინ მეფესა, კვლავ ცრემლი ედინებოდა.

როს მეფეს ღმერთი უყვარდეს, ან მისსა რჯუ-
ლსა ჰყვარობდეს,
წირვა-ლოცვისა მარად-ჟამ მისვლასა არა ზარობდეს,
სამართალ სწორედ შერებოდეს, ქვერვობოლოთ გლა-
ხათ სწყალობდეს,
მაშინ ჰხედეს ყოვლი დიდება, და ღმერთი მასხედ
ჰზარობდეს.

ეს საშინელი საქმენი ყველა ღვთისაგან ქმნუ-
ლია,
თუ კაცი ღმერთსა არ ესავს, არის ეშმაკის სულია,
ვერცა რა საკვირველსა იქმს, ვერცა აცხოვნოს სუ-
ლია.

*) იხ. „მწყემსი“ 18 № 1896 წ.

თუ ზემო თქმული ყველა სქირს, მაშინ არს კაცი სრულია. ოდეს ესე სცენს მეფეთ მტერთ ლომისა ქმნანი ყველანი, მაშინ უმეტეს შეცაქმნეს შიში და დიდი ძრწოლანი, მას მხენნიც თაყვანს სცენო, ჩვენ ვითა ძალგვის ბრძოლანი, მეფეს ვინც ომად შემართის, მყისვე ღვით ეცესთ ბრკოლანი.

გარდაცვალება ყოსიდან ათბაგისა და დაშინენ საზნი ძენი, რომელთაცა განუყო მამულნი და ქალაქნი; გარნა შუათანამან ძმამან ამირ ბუბაქარ სძლო მათ, და ყარუნშასაცა ეკეთა და თვით იქმნა ამირ სულტნად, და დამარცხებულნი საზნი მოვიდნენ წინაშე თამარისა და ეჯანენ შეგლას ამირისა ზედა, და სთხოვეს თამარს ქალი რუსუდან ცოლად ერთმან მათ-განმან; ზოლო თამარ არა ინება ქალისა მიცემა გარნა აღუ-თქვა შეგლა ამირს ბუბაქარსა ზედა, და იქმნა ბრძოლა ძლი-ერი და სასტიკი სპარსთა და ქართველთა, და სძლეს ქარ-თველთა ღვით.

როს ათბაგმა სამ ძეთა თვისთა მამული გა-ნუყო, თვით გარდიცვალა ამიერ, ვით ადამ ჩვეულებულჰყო, მაგრამ შუათა ძმამან და თვის ძმათა პირი დაუყო, ორთავ წაართვა მამული ყარუნშაც შეძრწუნებულ-ჰყო.

ამ სამთა შედონებულთა მამულით გამოყრილ-თადა, მეფესა თამარს მომართეს გულითა შედონვილთადა, ჩვენმა ძმამ ამირ მამული ბუბაქარ სახელითადა, წაგვართვა, გვდევნის სიკვდილად, გვიშველე შემხვე-წილთადა აზიელთა სულტნად დაისვის ბუბაქარ სახელდებ-ული, ჩვენ სამნი ძირით აღმოგვეფერა, თითონ არს განდი-დებულო, ჩვენს მამულს იგი იხმარებს, მას ზედა არის შვე-ბული, მეფეო, ღმერთი გაცოცხლებს, გვიხსენ ჩვენ ქირით ესებულო,

ამ ღროს შეიქმნა ძერა დიდი ქალაქსა შამახისასა, საშინელ იყო ძერა იგი მსგავს ქვეყნის დაქცევისასა, ქალაქი იგი დაქცა, ჰკვანდა მტერთ წაოხრისასა, მეფეს მოხსენდა ამავეი თქმის ჰყოფდელ იმა ძერისასა.

მეფემა თამარ მათ ბედ-შავთ აღუთქვა შვილის პირობა, მოღითო, წიგნი უბოძა, თქვენ ჩემი ჰყავით შვირობა, მე მოვიწვეო ლაშქარსა, არ ნახოთ სპათა მკორობა, მყის ღვითი ვანანო ბუბაქარს, ვაჩვენო ქართველთ გმირობა. ბრძანა მეფემან ვინც ჩემსა ერჩის ბრძანების ნებას, მყისვე შემოკრებს ყოველნი, ჰყოფდენო დარაზმე-ბასა,

შემოკრბენ გიორგიელნი, ჰყოფენ მეფისა ქებასა, მეფე შინჯვედა, უქებდა ხმალ თოფთა ხვარაზმობასა. მოვიდნენ შეწუნებულნი ათბაგისა შვილები, მეფეს აგარას მდგომელსა ჰრქვეს ამირისა ქმნილები, თაყვანსა სცემდეს მეფესა მან აღფებრა ჩვენი წილები, მეფეო, ღმერთსა მიხედვ, შეგბრაოდეთ განაწილები. მეფემან ბრძანა იმედი ღვითთ მაქვს ყოველთვის ზენია, მათ შემხვეწულთა ჰატეც სცა ვით მათი შესაგვანია, მეფემან უთხრა მიხედვთ, დგანან რაზმები მზანია, ბუბაქარ ამირს უჩვენო ღვითთ თვისი ძველი გზანია. მეფეს შეჰკადრა ყარუნ-შიმ თხოვნად რუსუ-დან ქალისა, მიბოძე ცოლად მყვანდესო მყოდ სიძედ თქვენის ძალისა

მეფემან თამარ უარი უბძანა თვისის ქალისა შეგლად გიშველო მტერს-ზედა გარდახდა მაძეს ვალისა. რა სცნა ბუბაქარ სულტანმა ქართველთა ერთად ყრილობა ეგრეთვე თვისი მძებსა თამარის შეხვეწილობა თვით ცა იწვივა სრულ სპარსნი ჰყო არაბთ შემო-ყრილობა ხალიფას წიგნი მისწერა მიცხადეს ქართველთ შოი-ლობა. სპარსეთს გაგზავნა საუნჯე ოქრო და ვერცხლი დიდი ეჰა თათარო ვისა ვწამთ თქვენ სჯული ანუ მამაღი მოღით მიშველეთ ქართველნი სწყყრებიან ვით ლო-მი ზეიადი ხალიფავ ბაღდადსაო შენც ძალი გაქვსო ფრიადი. მოვიდა ჯარი მრავალი ვითა ვარსკვლავნი ცისანი ეგრეთვე ბაღდადლები ცხენ მალნი შვილდ მოსიარნი

ვის ძალუც მათი შეგება ან კაცი სიმრავლის თქმი-
სანი
ეგრეთვე ცხენთა ქიხინით არ იყო სმენა ხმისანი.
თამარს მოხსენდა მოვიდა სპარსთ არაბთ ლაშ-
ქართ ღიღებდა
ეგრეთვე ზევი ხალიფა თანახლავს სპათაყრილობა
მათთა დრომებთა სიმრავლეს ვერ უყავთ აღრიც-
ხულობა
აჲ მეფეო გეუწყოს ურწმუნოთ თქვენდა შლი-
ლობა.
მეფემ ბრძანა შემომავარეთ ჭყონდელი სახე-
ლობით,
მოკაცივდა მღვდელ-მთავარი მეფე არის მასთა ხმო-
ბით
აჲ, ჯარი აიღეო შენ იქმენო წინად რაობით
მაგის მადლით თათარს გული ჩვენ უკოდოთ ხლი-
სა სობით.
მეფემან თამარ თვის ქმარსა სოსლან მეფესა
ხმობილსა
მიანლო თვისნი ქართველნი მას კაცსა ჭკუით გრძო-
ბილსა
თვისნი და სკანი ამირსა სპასალარს მხარგველს მყო-
ბილსა
განაწყო ყოვლნი რიგ რიგად ჰყოფს გუნდად გა-
რიგებულსა.
აიღიო ჯარი ცხოველი ჭყონდელი უძღვის
სპათა
ბარაკლისის ხშირად მთქმელი ამრავლებდა ღეთისად
ხმათა
ღმერთო მოეც ქართველთა ძლევა შენემოსავთა შემ-
ტკობართა
მეფე ჩვენი მხიარულ ჰყავ შეგწირვიდეთ ქების
თქმათა.
წარვიდა სოსლან ქართველთა წინ უძღვის ქეც-
ვა-ზღილობით,
მეფისა და სტას მხარ გძელი მას ჰხმობენ ამიღ ბა-
რობით,
ვაჲ კაცსა მხნესა გამოკდილს სხვა ვინ ვსთქვა მისის
ღარობით,
სოსლან დავითი სერდაქსა ზისტანის გამოძეგნობით.
როს თამარ მეფემ იხილა ომად წასვლანი ჯა-
რისა
თვით ფეს შიშველი მეტეხსა მოვიდა რეკად ზა-
რისა,

ღეთის მშობელს კრემლით შესტირის ვედრება შენ-
და გემარისა,
მოხდენ შენთა ქართველთა მიეც მძღეთ ძლევა მტე-
რისა.
მივიდნენ შანქირს ქართველნი მეფე უძღვების
წინარე
მუნ შეხედნენ სპარსთა არაბთა შუაზედ ედვით მი-
ნარე,
მუნით თათარნი დარაზმდნენ არაბნი შუბით მკე-
ნარე,
აქეთ ქართველნი მწყობრ-მწყობრად, ხმა ჰყავს აწ-
ვიქნეთ ჩინარე.
მოიღეს ჯგვარი ცხოველი ვედრებით თაყვანს
ჰქემდიან,
ჭყონდელ მიტრაპოლიტსა მას ხელსა ემთხვევიდინ,
ჭყონდელ, ღმერთსა გვავეჯერ იმერ ამერნი ჰხმო-
ბიანი,
იგი ეტყუადა ღეთის მადლმან მტეხსაცა დაგიმხობდია.
შეიქმნა ბრძალა და სროლა მშვილდისა ისარ-
ცხელისა,
პირველ აქა იქ სიკვდილი ხდმის ცემა მსგავსი ნე-
ლისა,
როს სოსლან მეფემ მიმართა იყო ხმა მოკალხენისა,
მაშინ ეტაქნენ ძლიერად ყოველნი მსგავს ასთ(?) ეე-
ლისა.
რა სჯობს, რომ ვაეკაცს დრო შეხედეს ომსა
შეესწროს ძლიერსა,
საღხინოდ ჰქონდეს ხლმის ცემა ვით მყემდს პურის-
თვის მშვიერსა,
მშვილდს არ ერიდოს თოფს ხაღოს ვით ნემსის ნაკ-
რავს მკირესა,
თუ ომი კაცსა არა სწად, რით სჯობს დიაცსა ცბი-
ერსა.
გაქირდა ომი შეიქმნა ღიად ხოცა კაცისა,
საშინელ იყო ხილვად ვითარცა დამხოზა ცისა,
ქართველთა თათართ სიკვდილი უჩნსთ ვითა თხისა
ვაკისა,
მაგრამ სიმრავლე თათართა იყო ბევრით ბევრ ოკისა-
მისა.



სამეცნიერო სწავლა.

ქ ა ს ი

(გაგრძელება *).

მთელი დედამიწის მკვიდრთა სულ სხვადასხვა შეხედულება აქვს ზნეობაზე. ერთი თემისათვის მოსაწონი და სასურველი, მეორე თემისთვის სასიციხო და საძულელია. ერთი თემის დამოკიდებულება თავიანთ შვილთა და მოყვასთადმი სრულებით არ ემზავება მეორე თემის ამ გვარ დამოკიდებულებას. ველური ხალხებიც ძლიერ ირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან. მაგალითებ: აფრიკელი ნეგრისათვის სრულებით სამწელი და დასაძრახისი არ არის, როცა მას ბაზარში მიჰყავს თავისი ვაჟი ანუ ქალი გასასყიდად. იგი მზად არის მიჰყიდოს თავისი შვილი იმას, ვინც უფრო მომეტებულ ფასს მიცემს, კიდევ რომ იცოდეს, რომ მყიდველი ძლიერ სასტიკად და შეუბრალებლად მოეპყრობა მის შვილს. მაგრამ ნეგრებშიაც დიდი განსხვავება ზნეობითი მხრით. მაგ. აფრიკანელი ნეგრები ზნეობითი მხრით უფრო მაღლა დგანან ავსტრალიელ ნეგრებზე. აფრიკელი ნეგრები კაცის მჭამელნი არ არიან, როდესაც ავსტრალიელი ნეგრისათვის ჩვეულებრივ საქმეს შეადგენს თავისი მზავის კაცის შექმა. ევროპელებს და საზოგადოთ თეთრკანიან კაცებს, რომელთაც ხელთ იგდებენ ხოლმე ნეგრები, შეუბრალებლად ხოცვენ და სჭამენ. ეს ნეგრები არა თუ თავიანთ მეზობლებს ჭეკობილებს ხოცვენ და სჭამენ, ისინი არ ზოგვენ თავიანთ შვილებს, ცოლებს, მშობლებს და ნათესავებს, თუ რამე პატარა მიზეზი უშოვეს. როდესაც ქმარი ეჭვს აიღებს თავის ცოლის ყოფაქცევაზე, იგი მაშინვე დაიჭერს როგორც თავის ცოლს ისე მის საყვარელს და მიკარავს მათ ორ მახლობელ ხეზე. დამნაშავეთ აჭრიან ხორცს და შეექცევიან. საზოგა-

დოდ დამნაშავეთ სჭრიან ნაწილ-ნაწილ, დიდს აღტაცებით იტაცებენ ხორცის ნაჭრებს და შეექცევიან. ასე ექცევიან დამნაშავეთ არა მარტო დანაშაულობისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ თავისი კუჭის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ხშირად ოჯახში ჰყრიან წილს, თუ ოჯახის რომელ წევრს უნდა შეხვდეს შექმა. ვისაც კი წილი შეხვდება, იმას იმავე წამში მივარდებიან და შეუბრალებლად გლეჯენ ნაწილ-ნაწილ. შესაქმელად გამზადებული მსხვერპლის საცოდავი ტირილი და ხეყნა-მუდარი სიბრაულის არ მზადავს ოჯახის დანაჩენ წევრთა გულში. პირიქით თითოეული მზად არის ხელთ იგდოს მსხვერპლის ის ნაწილი, რომელიც მათ ერგებათ მათივე ადგილობითი ჩვეულებისამებრ. ისეთი მაგალითებიც მომხდარა, რომ დედებს შიმშილობის დროს თავიანთი შვილები შეუჭამიათ...

ხანდისხან ველურები თავს ეცემიან იმათზე უღონო სუსტებს და ისე ხოცვენ მათ, როგორც მხეცებს. ასეთი საქციელისათვის მათ არავითარი სასჯელი არ მოელოსთ, ვინაიდან მათი ამგვარი მოქმედება ყველას ჩვეულებრივ და მოსაწონ საქმედ მიაჩნია. მრავალი მოგზაურები მოგვითხრობენ, რომ ავსტრალიაში მყოფობის დროს, ზღვის ნაპირზე ისე არ გავიდოდნენ, თუ ბევრი არ მოიყრიდნენ თავს და მასთან კარგად შეიარაღებულნიც არ იქნებოდნენ გატენილი თოფებით და რეოლვერებით, ღ ხოლმად ზედაც მუდამ მზად იყვნენ, რომ ველურები თავს არ დაცემოდნენ. ღამით უფრო დიდ შიშში იყვნენ ხოლმე და ხოლმადის ბანზე ყოველის მხრით სამი-ოთხი ყარაული ჰყავდათ დაყენებული. ღამით ზღვას ანათებენ შუშხუნებით, რადგან ველურები პატარა ნაგებით ჩუმათ ევარებიან ღამით ხოლმადს და როცა დროს იშოვიან, დიდს აღტაცებით ავარდებიან ხოლმადზე და ვინც შეხვდებათ, არ ზოგვენ, როგორც გახელებული კატები. მაგრამ როცა კი ევროპელები გაიგებენ ველურების მოახლოებას, დაუშენენ ტყვიას და ასობით ხოცვენ მათ და ეს არც დასაზრახისია, ვინაიდან თითოეული კაცი ცდი-

ლობს დაიკვას თავისი სიკაცხლე. როცა ველურები ერთმანერთში ჩხუბობენ, გამარჯვებულ ველურთა წინამძღოლი იჭერს დამარცხებულთა წინამძღოლს, რომელსაც გადაუტეხს ხელების და ფეხების ძვლებს და მერე თავისი მახლობლებით და ხელქვეითებით ისეთი სიბრაზით მიესვენინა საბრალო მსხვერპლს, როგორც განძინებული ვეფხი. როცა კაცი ხედავს ასეთ საბრალო და უნზავას არსებათ, რომელნიც გარეგნობით ძლიერ წაავაჯღან მიიბუნებს, და გონებითაც

შეიძლება, ისინი არც კი იღვინენ მიიბუნებზე წინ, უნებლიედ ადარებენ კაცს ცხოველებს, თუმცა ცხოველებსა და კაცს შორის ძლიერი განსხვავება არის და სახელდობრ ის, რომ ცხოველი მარტო აწმყოზე ზრუნავს, კაცი კი მუდამ ფიქრობს მომავალზე, რომელსაც შეჰყურებს ხან იმედით და სიხარულით, ხან სრული რწმენით და სიყვარულით და ხან ძრწოლით და შიშით. რამდენათაც კაცი ბრიყვი და გაუნათლებელია, იმდენათ მას ურიგო



მცხოვრები სანდიჩვის კუნძულისა.



პატალონელი.



ყვავის მზავისი ინდოელი



პაპუსის, ალფური.



მხეცისმზავისი ინდოელი.



იავანელი ქალი

აზრი და ცული წარმოდგენა აქვს მომავალზე. ჩვენ აქ სახეში გვაქვს მომავალი საუკუნო ცხოვრება და არა ისეთი მომავალი, რომელიც შესრულებად ღელს. ხვალ, ანუ ზეგ. ამ სახით კაცში იბადება დასაწყისი სარწმუნოებისა. რაღუნათაც კაცი მალთა დგას გონებით, იმდენათ მისი რწმენა გონიერი და ქეშმარიტია და რამდენათაც კაცი გონებით გაუნათლებელია, იმდენათ მისი რწმენა უმართებულო და შეუფერებელია.

სარწმუნოება ველურ ხალხთა.

ყოველ განათლებულ ხალხთათვის გასაოცარი და შესაწუხებელია ზნე-ჩვეულება, გონებითი დაბნელება და ცხოვრება ველურ ხალხთა, მაგრამ უმეტესად შესაწუხებელია იმათი რწმენა და რელიგიური მდგომარეობა. ამ ხალხს ისე დაბნელება გონება და იქამდის მისულან, რომ თავიანთ სცემენ ათასნაირ კერპებს და ისე ერთგულად, რომ შესაწირავად კაცის მსხვერპლსაც კი მიაბრძინებენ მათ.

მსხვერპლად შეწირვა კაცისა ორგავარია. მსხვერპლად შესწირვენ კაცს ან მსხვერპლად შესაწირავის ნებით ან მისდა უნებურად წილის ყრით და ვალდებულობით. მექსიკაში, ფინიკიაში და სირიაში კენქს ყრიდენ სამსხვერპლო კაცზე. ან ერთხმად აღიარებდენ რომელიმე შესანიშნავ, გამოჩენილ პირს და მისდა უნებურად შესწირავდენ რომელიმე განრისხებულ კერპს. გამოჩენულ პირს სამსხვერპლოდ წაათრევდენ ფეხით ან ხელით დასაკლავად, ან დასაწვავად და სრულიებით არ მიატყვედენ ყურადღებას გულის შემზარავს სამსხვერპლოს ყვიროლს და შესარულიებდენ შეწირვის წესს. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ სამსხვერპლოდ შეწირებოდენ თავის ნებით, ძალა დაუტანებლად და დღესაც ბევრნი ასრულებენ ინდიაში თავის ნებით შეწირვას, მაგალითებურ, განგის მდინარე ბრამინების სწავლისამებრ საღმრთო მდინარედ ითვლება. ამ წყლის თავყანისცემელთა ჰგონიათ, რომ ეს მდინარე ბრამის სხეულიდან გამოდის და შედის ისევე მის სხეულში. ამისთვის ზოგიერთები თავს იღრჩობენ ამ მდინარეში იმ აზრით, რომ ბრამს შეუერთდენ და თვლით იხილონ იგი.

დჟ. დ. ლამაზიძე.

ასალი ამბები და შენიშვნები.

ორს ოკტომბერს ჩვეულებრივად იღდესასწაულეს „მოწამეთობა“ მოწამეთის მონასტერში. მატარებელი შედ-რვაჯერ მივიდა გელათში და მობრუნდა ქუთაისში, მაგრამ ყოველ წასვლა-წამოსვლაზე ვაგონები მაინც ვერ იტყვედნ ხალხს: ამიღი კარგი იყო და ამისათვის ნამეტანვად ბევრი ხალხი მიაწყდა მონასტერს. პირველ ოკტომბერს, საღამოს მონასტერში მობრძანდა ყოვლად სამღვდლო ბესარიონი კრებულისათვის და საღამოით გარდაიხადეს დიდი მწუხრი. ცისკარი დაიწყეს ნაშუალამევის სამ საათზედ და გათენებისას გათავდა. ორს ოკტომბერს წირვა დაიწყო დილის ათი საათის ნახევარზე და პირველი საათის გასრულებამდისინ ვაგრძელდა წირვა და პარაკლისი. ყოვლად სამღვდლოს ბესარიონთან მწირველი ბრძანდებოდნენ მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ბესარიონი, გელათის მონასტრის წი-



წმიდანი მთავარ-მოწამენი ღვით და ქონსტანტინე.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ნამძღვარი არხიმანდრიტი სერაფიონი და მონასტრის ძმანი. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდლო კრებულისათვის და სპატიო პირები მიპატივებული იყვნენ პატივცემულ მონასტრის წინამძღვრის ბესარიონისაგან. ნასადილვეს ყველა სტუმრები დღიან პატივცემული ქუთაისში დაბრუნდნენ.

* *

ოთხს ოქტომბერს დილის 10 საათზე სტრუიციის სეულ ეკლესიაში მოპრძანდა მათი ყ-დ უსამღვდლოესობა, დროებითი მმართველი იმერეთის ეპარქიისა, ეპისკოპოსი ბესარიონი; მათ მეუფებას შეეგებენ ეკლესიაში ქალაქის ეკლესიების ბლაღოჩინი მ. ნ. ყუბანეიშვილი, დეკ. დ. ლამბაშიძე, დეკ. ი. კიკაჩიშვილი და მღვდელი ივანე შავლაძე. ყ-დ სამღვდლომ ზემოხსენებულ სამღვდლოებითურთ პანაშვიდი გარდაიხადა სტრუიციის სულის მოსახსენებლად. სწორეთ ოთხს ოქტომბერს გაიხსნა ეპარქიალური სასწავლებელი სტრუიციის შეწირულ სახლებში. დადგენილია, რომ ამ დღეს ყოველთვის პანაშვიდი იქნეს გარდახილი სასწავლებლის ეკლესიაში სხენებული მამულის შემწირველთა სულის მოსახსენებლად მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანა დასწრებით; აი ამისთვის იყო გარდახილი პანაშვიდი ამ დღეს ყ-დ სამღვდლო ბესარიონისაგან. პანაშვიდზე დაესწრნენ სასწავლებლის უმფროსი ქალი, მასწავლე და მოსწავლენი.

პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ყ-დ სამღვდლო ბესარიონმა ინება სანთლის ქარხნის დათვალიერება. ყოვლად სამღვდლოს სანთლის ქარხანაში მიეგებენ სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტის წევრები. კომიტეტის თავმჯდომარემ მათ მეუფებას მოახსენა მდგომარეობა სანთლის ქარხნისა და აუცილებელი საკურობება ამ ქარხნის შეკეთებისა. ყოვლად სამღვდლომ დათვალიერა გაფენილი სანთელი ვასათეთრებლად, მისცა დარიგება კომიტეტს და ისურვა, რომ სანთლის ქარხნის საქმე კარგად და სანაქებოდ მიმდინარეობდეს.

* *

ქუთათურებმა შეიტყეს უსიამოვნო ამბავი შესახებ ქუთაისზე რკინის გზის გაყვანისა. პეტერბურგში კომისიისაგანთა მინისტრის ამხანაგის—გენერალ-ლეიტენანტის პეტროვის, თავმჯდომარეობით უარი შემოუთვლია ქუთაისის მცხოვრებლების თხოვნაზე, მაგრამ ქუთათურები მაგდენად არ სწუხრან ამ საქმეზე. თითქმის კვირა არ გავა ისე, რომ სადღიო და ეცნაში არ გაუმართონ ვისმეს და დროება არ გაატარონ. ხალხი გარეთ ვეღარ გამოდის, ისეთი საზოხლარი მტვერია ქალაქში გამოდარი. ზოგიერთი ხმონსები ურჩევენ მცხოვრებლებს, რომ ქუთაისი საღორაიზე გადიტანონ, რათა მტვერს აშორდნენ...

* *

ვაშინკტონის ეპისკოპოსს გამოუგზავნა 20 მან. «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის», რომ იმან მოიხმაროს რომელიმე ბავშის აღსაზრდელათ. ამ საზოგადოების მმართველობამ გადაწყვიტა გავგზავნოს ვაშინკტონში მაღლობა ინგლისურად და ქართულათ. («კვალი.»)

* *


შავი ქვის (მარგანცის) წარმოება: მარიაპოლისთვის პირველიდან ენკენისთვის პირველამდე ბათუმიდან გაიტანეს გერმანიაში: 87,800 ფუთი შავი ქვა, ლირებული 26,300 მან.

ფოთიდან გაიტანეს ინგლისში: 167,400 ფუთი ლირებული 40,170 მ., გოლანდიაში:—1,002,390 ფუთი ლირებული 240,573 მან., შიდა რუსეთში:—217,265 ფუთი, ლირებული 52,143 მან., საქართველოდან შავი ქვა მარიაპოლისთვისეში სულ გატანილა 1,474,855 ფუთი ლირებული 359,195 მან., («კვალი.»)

* *

ყაზანის უნივერსიტეტში ამ სამოსწავლო წელს მიუღიათ 189 სტუდენტი, მათ შორის 25 სემინარიელია, რომელნიც მიღებულნი არიან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, მიუხედავთ გიმნაზიის ატესტატის უქონლობისა, («კვალი.»)

* *





ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის უფროსმა სახალხო სკოლების დირექტორის ნება-რთვით და დახმარებით ამ სასწავლებლის ერთ დიდ ოთახში გახსნა საკვირაო სკოლა მოზრდილ ყრმათათვის. ეს სამი კვირაა, რაც მასწავლებელნი დაიარებნა სკოლაში, მაგრამ არცერთი კაცი არ მისულა სასწავლებელში, თუმცა განცხადება ყველა კუთხეშია მიკრული.

* *

ქიათურის სამრევლო სკოლაში ჯერეთ კიდევ შეჩერებულია სწავლა, რადგან მასწავლებელი დიოხოვნილია თავის სურვილისამებრ სამოსწავლებლა რჩევისაგან და ახალი მასწავლებლის დანიშვნაზე ჯერეთ კიდევ მიწერ-მოწერა არ გათავებულია.

* *

ვიცხის სახალხო სკოლა ამა წლის მარტიდან დახურულია, რადგან ადგილობრივი გლეხები ამ სკოლაში ბავშვებს არ აგზავნიან. მასწავლებელი ამ სკოლისა ტ. ლამბაშიძე საფრანგეთში მიემგზავრება მეურნეობის შესასწავლად. მის ადგილზე ამ საზოგადოებაში სახალხო სკოლების დირექტორმა სხვა მასწავლებელი განაწესა, მაგრამ ყმაწვილებს მიიწვი არ აღეგნენ გლეხები სკოლაში.

* *

„წწყემსი“-ს რედაქციამ მიიღო კარგი ხელოვნებისა და უმეტესი ფასის გულისკაიდი ჯვრები, ჯვრების ფასი სხვა და სხვა. თითო ჯვრის ფასი 19 მ. 28 აღის. ვინც ფოსტით დაიბარებს, ის გასაგზავნ ფულს არ იხდის.

* *

4 ოქტომბერს ქ. ბათუმის მკვიდრთ ფინანსის მინისტრის ს. უ. ვიტტესათვის გაუგზავნიათ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „ბათუმის მკვიდრნი და ჩვენ, მშობელნი ბათუმელ მოსწავლეთა, რომელნიც გაფანტულნი არიან კავკასიის სხვა და სხვა გიმნაზიებში და ზღვის ნაპირა ქალაქებში, ვთხოვთ თქვენ მაღალ აღმატებულებას შეიწყნარათ ქალაქ ბათუმის

თვით მართველობის უშუამდგომლობა ქ. ბათუმში კლასიკური გიმნაზიის დაარსების შესახებ, რომელიც, გიმნაზია, იქნება მეორე მთელს ვრცელ გუბერნიაში, სადაც მილიონ ნახევარი მცხოვრებია და სადაც ერთად ერთი გიმნაზია (ქუთაისში), რომელიც ყველა მსურველთა მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. თქვენი მაღალ აღმატებულების აზრი, რომ ბათუმისთვის უფრო საჭიროა რეალური ანუ რომელიმე სამრეწველო სასწავლებელი, მართალია და ასეთი სასწავლებლები დროებითად კიდევ დაკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, თუ საერო განათლების სამინისტროს თანახმად გადაკეთებულ იქნა რეალურ სასწავლებლად ქუთაისის პროგინაზია და გადიდებულ იქნა პროგრამა ბათუმის სახელოსნო სასწავლებლისა. ვებედით მოვახსენით თქვენს მაღალ აღმატებულებას, რომ გიმნაზიის უმეჭონებლობა ძლიერ აზრკოლებს ბათუმს ეკონომიურის მხრით და ჩვენ, მშობლებს ზნობითად დიდ შერუხებას გვაძლევს, ვინაიდან შესაფერად ვერ ვზრუნავთ ჩვენგან დამორატებულ მკირე-წლოვან შვილებზე“. ამ ტელეგრამაზე 80 კაცს უწერია ხელი. (კავკაზი).

* *

ნიენი ნოვგოროდის გამოაფენა 28 მაისიდან 28 სექტემბრამდე დაუთვლიერებია 971,609 კაცს. ყოველ თვიურად გამოაფენა დაუთვლიერებიათ: 28 მაისიდან 1 ივლისამდე 139,806 კაცს; 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე—237,254 კაცს; 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე 434,704 და 1 სექტემბრიდან 28 ამავე თვემდე—159,845 კაცს.

* *

მთელი რუსეთის ერთ დღიური აღწერისათვის, როგორც „კავკაზი“ გვაცნობებს, გადაუღვიათ 1,530,507 მანეთი.

თქვენს მაღალ აღმატებულებას შეიწყნარათ ქალაქ ბათუმის

შეწინაშელებანი.

ჩვენ მივიღეთ ყურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკლესიის სასარგებლოდ შეწირულობათა გამოაცხადებლად:

I

მ. რედ.! გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის ყურნალის საშუალებით გულისთადი მადლობა გამოვუცხადო მათ, რომელთაც რწმუნებულ ჩემდამო ალავერდის ეკლესიას შემოსწირეს ნივთი ან ფული და სახელდობრ: გუბერნსკის სტრუტარს ალექსი ყანჩაველის მეთულას ეკატერინეს, რომელმანცა შემოსწირა ერთი ხელი დაფარანა, ორარი და სამკლავები, ღირებულნი 12 მან., ლახუნდარის ეკლესიის მედაიენტეს რაფიელ ყანჩაველს, რომელმაც შემოსწირა ერთი ტრაპეზის ჯვარი და თანაარის შანდალი, ღირებული თერთმეტ მანეთად; გრიგოლ ლევანის ძეს ყანჩაველს, მის ძეს და ასულს დავითს და ბარბარეს, რომელთაც შემოსწირეს ერთი ხელი შესამოსელი, ღირებული 40 მან., ლარენტე მის. ყანჩაველს, რომელმანცა შემოსწირა ხატის წინ დასაკიდი კანდელი, ღირებული 5 მან., ყარამან სიმ. ჰამოკატაძეს, რომელმაც შემოსწირა თვრინის ეკლესიის სასარგებლოდ ორი შანდალი, ღირებული 10 მან., კლდეეთის საზოგადოების მამასახლის ალექსი კვანტრეშვილს, რომელმაც შემოსწირა ჯვარი, ღირებული 6 მან.

მღვდელი ალექსანდრე არღიშვილი.

II

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ყურნალის „მწყემსის“ საშუალებით გულისთადი მადლობა გამოვუცხადო როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა თუილისის კალოუბნის ღვთის-მშობლის ეკლესიის მთავარდაიკონს ნიკოლოზ კუპაიძეს, რომელმაც შემოსწირა მაცხოვრის ხატი, სიმაღლით სამი არშინი, ღირებული 75 მან. და გარდამოხსნა ხელოვნურად გაკეთებული კუბოთი, 85 მან.; მის ძმისწულს სილიბისტროს, რომელმაც შემოსწირა ღვთის-მშობლის ხატი ისრეთივე ზომისა

75 მან.; მოსე არეშიძეს, რომელმაც შემოსწირა პატარა ხატები მაცხოვრის და ღვთის-მშობლისა, 6 მ., და მახარებელ სვანაძეს, რომელმაც შემოსწირა 10 მან. სახარების შესამკობათ.

ზღა საყულის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი ისილარე სვანაძე.

III

მღვდლის პო. კაპილაქისხანა:

მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით გულისთადი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მრევლმა ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემის შეგონებით შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ლახუნდარის ღვთის-მშობლის ეკლესიას ფული და ნივთი, აი შემწირველთა სია: ისილარე თოპაძე კოვზირიძემ ასი მანეთი (100 მ.); ანუთია მაჭავარიანისა წერეთლის ასულმა სამოცი მანეთი (60 მ.); პეტრე ჭიხოსაროხმე მაჭავარიანმა ხუთი თუმანი (50 მ.); ვახუშტი ისესტე კოვზირიძემ ერთი ღვთის-მშობლის დიდი ტანის ტილოზე დახატულიხატი, ღირებული ოცდა ხუთის მანეთისა (25 მ.); სტაროსტა სიმონ ვახუშტისძე კოვზირიძემ სამღეროვანი შანდალი, ღირებული ოცის მანეთისა (20 მ.). აღნიშნულ ფულებიდან რვა თუმანი დახარჯა კანკელის მასპობელად და, დანარჩენი ცამეტი თუმანი ღღეს ნილდალ არის და გადაღებულა ეკლესიის დახატურად.

IV

მღვდლის ვასილ ეურუსხანა:

მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთ „მწყემსის“ საშუალებით უგულიდადესი მადლობა გამოვუცხადოთ როგორც მე ისე რწმუნებულმა ჩემდამო სამრევლომ ქალაქ ქუთაისის მცოკრებთ: ევანატე ივანესტე ნარისას და აზნაურს მელიტონ ნიკოსტე გაბუნისას, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ეკლესიას: პირველმა მათგანმა ერთი ხელი ბრწყინვალე შესამოსელი, ღირებული 30 მან., ხოლო მკორემ საცეცხლური, თანა არსი და სამ ტოტიანი ტრაპეზის შანდალი, ღირებული ათ მანეთად.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა პარტულს

ამჟამო საავატოჟოფო ავგულატოროითოტ

„მწუქმას“

დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქუთაისის ფასი:

12 თვით **მწუყმსია** 3 მ. | 6 თვით **მწუყმსია** 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 5 ,, | ,, ორივე გამოცემა 3 ,,
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 ,,

ისეიღებ

საქველმოქმედ

თამარ-მეფის

და

შოთა რუსთაველის

სახიანი

ფუნსტის ქალაქი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის
მალაზიებში

ფურცელი თითო კაპიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწება ზვირ-
სიტყვარბის ფონდს და ნახევარიც მოხარდება იაჟ-
ფასიან და მუქთად დასარიკებელ სახალსო წიგნა-
ქმის გამოცემა.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ «ქაღლის»
რედაქციაში, ან დაიხარონ ფუნსტით ღ. უერი-
ლიდამ მიხიელ ბარამაძისაგან.

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების ს-
ხიანი ქალაქი.

ს. გ. თოფურიანი

ქ. ქუთაისში.

საავთმოჟოფოში დგას ორ მოცოი საწოლი
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით
ავთმოჟოფათვის. მუწუკებოიანი და გადამდები სენით
ავთმოჟოფი არ მიიღებია, მოსიარულე ავთმოჟოფ-
ნი მიიღებია ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3
საათამდე.

შინაგან და წერეგებით ავთმოჟოფებს მიიღებს
მ. ს. ბ. თოფურიანი.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით
მ. ფ. კ. ბარბაძი.

დვდაკაცურ ავთმოჟოფთა და სნაბებიოს ქალი
მ. მ. ფ. აბაზი.

თვალების ავთმოჟოფისათვის
მ. ი. კ. ვარშაძი.

წიგვა დარეგების ფასი 50 კ., კონსი-
ლოჟის ფასი 3 მ. დღე და დამე ქირს ს-
ავთმოჟოფოში სრული ხარჯით და ექიმობით
2—3 მანეთამდე. აზვრაციის ფასი გარეგება-
სეა. (10—2)

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურიანი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

- სალიტერატურო განყოფილება: სამგვარი სიკვდილი.
- მღვიმის დღლთ მონასტრის წინამძღვარი იოჟფენია ელენე.
- ბიბლიოგრაფიული ცნობები. — გუგუზის საღარო. — საქარ-
თველოის ძველი დროის თავგადასავალი. — სამეცნიერო სწავ-
ლა, კაცო. — ახალი ამბები და შენიშვნები. — შეწირულებანი.
- განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამაზიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 октября 1896 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисеѳ.

Тифл. редакц. урду „Пастырь“ (И. П. Гамбашидзе) въ Бутайск. въ 1. бр. Ханаповыхъ, на Нѣмецкой ул.